

საზოგადოებრივი კოლეჯი „ელიტი“

საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი წესი

2014 წელი

# თავი I

## რეგულირების სფერო

### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1 წინამდებარე საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი წესი (შემდგომში წესი) აწესრიგებს საზოგადოებრივი კოლეჯი „ელიტის“ (შემდგომში კოლეჯი) მიერ პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან, სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და წარმართვასთან დაკავშირებულ საკითხებს.

1.2 ამ წესის ნორმების შესრულება სავალდებულოა კოლეჯთან სამართლებრივ ურთიერთობაში მყოფი ყველა პირისათვის, ამ წესით დადგენილი მოცულობის გათვალისწინებით.

1.3 ამ წესის მიზნებისათვის, კოლეჯთან სამართლებრივ ურთიერთობაში მყოფ პირად მიიჩნევა:

- ა) კოლეჯის ადმინისტრაციის პერსონალი;
- ბ) კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პრაქტიკის ინსტრუქტორთა პერსონალი;
- დ) კოლეჯის პროფესიული სტუდენტები;
- ე) კოლეჯის კონტრაქტორი ფიზიკური და იურიდიული პირები.

1.4 ამ წესის ნორმები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მათი შინაარსი არ ეწინააღმდეგება ზემდგომი სამართლებრივი აქტების ნორმებს.

1.5 ზემდგომ სამართლებრივ აქტებად, ამ წესის მიზნებისათვის მიიჩნევა:

- ა) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმატიული აქტები, რომლებიც არეგულირებენ წინამდებარე წესში ასახულ საკითხებს;
- ბ) საქართველოს სახელმწიფო ორგანოების ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები;
- გ) კოლეჯის დამფუძნებლის ოფიციალური გადაწყვეტილებები;
- დ) კოლეჯის წესდებისა და დებულების ნორმები.

1.6 წინამდებარე წესის ნორმებს უპირატესი იურიდიული ძალა აქვს კოლეჯის ხელმძღვანელობის მიერ მიღებულ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებზე. ამ წესში საკითხის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტისგან განსხვავებულად მოწესრიგება არის კოლეჯთან სამართალურთიერთობაში მყოფი ნებისმიერი პირისთვის ამ აქტის შეცვლის ან გაუქმების მოთხოვნის საფუძველი.

1.7 პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების

შემუშავება/ადაპტაციასთან, შეფასება/შეცვლასთან და გაუქმებასთან დაკავშირებული ურთიერთობები, რომლის მარეგულირებელ ნორმებს წინამდებარე

წესი არ შეიცავს, მოწესრიგებული უნდა იქნეს ზემდგომ სამართლებრივ აქტებში მითითებული ნორმებით.

1.8 იმ შემთხვევაში, თუ ზემდგომი სამართლებრივი აქტები არ შეიცავენ შესაბამისი ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმებს, დასაშვებია ურთიერთობა გადაიჭრას კოლეჯის უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

## **მუხლი 2. საგანმანათლებლო საქმიანობა, როგორც კოლეჯის მიზანი**

2.1 კოლეჯის საქმიანობის მიზანს წარმოადგენს მთელი სიცოცხლის განმავლობაში პირის მიერ სწავლის შესაძლებლობაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემის შექმნა/განვითარება, რაც მოიცავს ყველა საფეხურის პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასა და პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული სპეციალისტების მომზადებას.

## **მუხლი 3. კოლეჯის ამოცანები სასწავლო - საგანმანათლებლო პროცესის რეალიზების კუთხით**

3.1 სასწავლო - საგანმანათლებლო საქმიანობის ამ წესით დადგენილი მიზნების შესაბამისად წარმართვისათვის კოლეჯი უზრუნველყოფს შემდეგი ამოცანების შესრულებას:

- ა) შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
- ბ) პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და მის სრულყოფაზე მუდმივი ზრუნვა;
- გ) მაღალ კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პრაქტიკის ინსტრუქტორთა გუნდის ჩამოყალიბება;
- დ) კოლეჯის ადმინისტრაციის დაკომპლექტება პროფესიონალებით;
- ე) კოლეჯის წარმომადგენლობების შექმნა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში და ამ გზით პროფესიული სტუდენტებისათვის ხარისხიანი პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საცხოვრებელი ადგილისგან დაშორების გარეშე;
- ვ) კოლეჯის თანამშრომლეთა (როგორც ადმინისტრაციის ასევე პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პრაქტიკის ინსტრუქტორთა) პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;
- ზ) სწავლებისა და აღზრდის პროცესის მუდმივ სრულყოფაზე ზრუნვა;
- თ) კოლეჯის პროფესიული სტუდენტების შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიან სპეციალისტებად აღზრდა;

- ი) შრომის ბაზარზე მოთხოვნადი სპეციალობების შესახებ ინფორმაციის მუდმივი შესწავლა და აღნიშნულის საფუძველზე მომავალი სტრატეგიის განსაზღვრა;
- კ) პროფესიულ სტუდენტთა და პოტენციურ დამსაქმებელთა ურთიერთკავშირის დახვეწა/განვითარებისა და სხვადასხვა სახის ღონისძიებების განხორციელება;

#### **მუხლი 4. კოლეჯის, როგორც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების უფლებამოსილებანი**

4.1 კოლეჯი „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად უფლებამოსილია:

- ა) განსაზღვროს საკუთარი საგანმანათლებლო საქმიანობის ძირითადი მიმართულებები;
- ბ) პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შეიმუშავოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული განათლების თითოეულ საფეხურზე;
- დ) შექმნას სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და წარმართვასთან დაკავშირებული ურთიერთობების მარეგულირებელ სამართლებრივ დოკუმენტები და მოსთხოვოს მასთან სამართლებრივ ურთიერთობაში მყოფ პირებს აღნიშნული ნორმატივების შესრულება;
- ზ) პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგების დაძლევის შემთხვევაში, კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებზე გასცეს სახელმწიფოს მიერ აღიარებული პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (პროფესიულ დიპლომი).

#### **მუხლი 5. კოლეჯში პროფესიული განათლების განხორციელების პრინციპები**

5.1 სასწავლო პროცესი კოლეჯში ნეიტრალურია პოლიტიკური, რელიგიური, სოციალური და ყველა სხვა კუთხით.

5.2 სასწავლო პროცესთან დაკავშირებული კოლეჯის ხელმძღვანელობის თითოეული გადაწყვეტილება მიიღება საჯაროდ, გამჭვირვალედ და ეცნობება ყველა იმ პირს, ვის ინტერესებსაც შეიძლება შეეხოს აღნიშნული გადაწყვეტილების შინაარსი.

5.3 სასწავლო პროცესში პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების პარალელურად გათვალისწინებულია ასევე პოტენციური დამსაქმებლების პოზიციები.

5.4 კოლექში უზრუნველყოფილია სწავლისა და პრაქტიკის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო.

5.5 კოლექში შიდა სამართლებრივი აქტებით არ შეიძლება დადგინდეს პროფესიული სტუდენტების საზიანოდ ამ პრინციპების შემზღვევით ნორმები.

5.6 ნებისმიერი სახის პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციის ჩამოყალიბება კოლექში არ დაიშვება.

## **მუხლი 6. პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**

6.1 პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ეს არის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია პრაქტიკული ცოდნისა და უნარების გამომუშავებაზე და სრულდება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებით. პროგრამა აერთიანებს პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო სასწავლო კურსებს/მოდულებს. პროგრამით განისაზღვრება პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის დატვირთვა კრედიტებში, სწავლების მეთოდები და შეფასების ფორმები.

6.2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის საფუძველია პროფესიული სტანდარტი, აგრეთვე, არსებობის შემთხვევაში – პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი, რომელსაც პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოზე დაყრდნობით, პროფესიული ასოციაციებისა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების მონაწილეობით შეიმუშავებს და ამტკიცებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

## **მუხლი 7. პროფესიული სტანდარტი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი**

7.1 პროფესიული სტანდარტი ეს არის დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და პროფესიული ცოდნა და უნარები, აგრეთვე დგინდება პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე დამატებითი მოთხოვნები;

7.2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო კრედიტების მოცულობა, მისაღწევი სწავლის შედეგები, იმ მოდულების ერთობლიობა, რომელთა

სწავლის შედეგების მიღწევა აუცილებელია პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად, აგრეთვე შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების და პროგრამის განხორციელების წინაპირობები, შესარჩევი სწავლების მეთოდებისა და შეფასების სისტემის ალტერნატიული ჩამონათვალი;

7.3 მოდული წარმოადგენს სწავლების დამოუკიდებელ, თანამიმდევრულ ბლოკს, რომელიც ორიენტირებულია მისაღწევ სწავლის შედეგებზე. მოდულით განისაზღვრება სასწავლო თემატიკისა და მისაღწევი სწავლის შედეგების ურთიერთკავშირი და პროფესიული სტუდენტის სწავლებასა და შეფასების ორგანიზებასთან დაკავშირებული ინფორმაცია;

## **მუხლი 8. პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა**

8.1 სასწავლო პროცესის დასრულებამდე სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლის/პრაქტიკის ინსტრუქტორისა და ადმინისტრაციის გამოკითხვას, ხოლო პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პოტენციურ დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვას ზემო აღნიშნული სამსახური ატარებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში.

8.2 წინამდებარე მუხლის შესაბამისად ჩატარებული გამოკითხვის შესწავლა/დამუშავებაში მონაწილეობას იღებს ასევე შესაბამისი სასწავლო საგანმანათლებლო ერთეული - სკოლა და სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელები.

8.3 გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წერილობითი სახით წარუდგენს შესაბამის მოხსენებით ბარათს კოლეჯის დირექტორს.

8.4 გამოკითხვის შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

## **თავი II**

### **კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობა**

## **მუხლი 9. კოლეჯის სტრუქტურა**

9.1 კოლეჯის სტრუქტურა საქმიანობის ფორმის მიხედვით მოიცავს სამ ძირითად მიმართულებას:

- ა) მმართველობითი;
- ბ) ადმინისტრაციული;
- გ) სასწავლო.

9.2 მმართველობითი საქმიანობის განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს კოლეჯის დირექტორი, აღმასრულებელი დირექტორი, მარნეულის წარმომადგენლობის აღმასრულებელი დირექტორი და მისი მოადგილე.

9.3 ადმინისტრაციული საქმიანობის განმახორციელებელ სტრუქტურული ერთეულებია:

- ა) ფინანსური სამსახური;
- ბ) იურიდიული სამსახური;
- გ) კადრებისა და საქმისწარმოების სამსახური;
- დ) ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური;
- ე) კარიერის ცენტრი;
- ვ) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;
- ზ) პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტი;
- თ) სამეურნეო სამსახური;
- ი) დაცვისა და დასუფთავების სამსახური;

9.4 სასწავლო საქმიანობის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულებია:

- ა) სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
- ბ) ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულები: ჯანდაცვის სკოლა; ბიზნესის, სოციალურ მეცნიერებათა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სკოლა
- გ) ბიბლიოთეკა.

9.5 კოლეჯის სტრუქტურული ერთეულებისა და თანამშრომელთა უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება კოლეჯის დებულებით.

## **მუხლი 10. კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობა**

10.1 კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და სასწავლო ერთეულები – სკოლები.

10.2 სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და სასწავლო ერთეულები – სკოლები უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის დაგეგმვას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას, აგრეთვე ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებს საგანმანათლებლო პროცესში.

10.3 სასწავლო საქმიანობის განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებს განეკუთვნებიან:

- ა) სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

ბ) პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულები – ჯანდაცვის სკოლა; ბიზნესის, სოციალურ მეცნიერებათა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სკოლა.

გ) კოლეჯის ბიბლიოთეკა

**მუხლი 11. პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი ძირითადი სასწავლო ერთეულები – სკოლები**

11.1 პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი კოლეჯის მიერ განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, მიმართულების ან/და სპეციალობის შესაბამისად, ერთიანდება ცალკეულ სასწავლო ერთეულად - სკოლებად

11.2 სკოლის შემადგენლობაში შედის სკოლის ხელმძღვანელი – დეკანი, შესაბამისი პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები, პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები და პრაქტიკის ინსტრუქტორები.

11.3 სკოლის დეკანს თავისი ყოველდღიური საქმიანობის შეუფერხებლად განსახორციელებლად დახმარებას უწევს ოფის-მენეჯერი და სკოლის სპეციალისტები მარნეულის წარმომადგენლობასთან დაკავშირებულ საკითხებში, რომელთა კომპეტენცია და ყოველდღიური საქმიანობის სფერო განისაზღვრება სკოლის დეკანის გადაწყვეტილებით, საკუთარი უფლებამოსილებებიდან გამომდინარე - გარკვეული, ძირითადად ტექნიკური ხასიათის ფუნქციების დელეგირების გზით.

**მუხლი 12. საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები**

12.1 სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ზედამხედველობას უწევს კოლეჯში საგანმანათლებლო საქმიანობას, პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელებაზე,



საგანმანათლებლო პროცესში ხარისხის სტანდარტების დაცვასა და უზრუნველყოფაზე.

12.2 სასწავლო ერთეული – სკოლა კოორდინირებას უწევს კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობას/სასწავლო პროცესის მიმდინარე ორგანიზაციულ მხარდაჭერას, მის შემადგენლობაში შემავალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში.

12.3 კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლები და პრაქტიკის ინსტრუქტორები უზრუნველყოფენ შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით და უზრუნველყოფენ მის წარმატებით განხორციელებას.

12.4 კოლეჯის ბიბლიოთეკა პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის სრულფასოვნად განსახორციელებლად შესაბამისი ინტელექტუალური რესურსით უზრუნველყოფაზე.

### თავი III

#### პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მენეჯმენტი კოლეჯში

**მუხლი 13. პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები**

13.1 კოლეჯის მიერ განხორციელებად პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგის სპეციალისტი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

13.2 კოლეჯში სწავლა-სწავლების პროცესი მიმდინარეობს პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად.

13.3 პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი თითოეული საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამისათვის იქმნება შესაბამისი პროფესიული პროგრამის კურიკულუმი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პროგრამის მიზნების, ამოცანების, სწავლის შედეგების, მოცულობის, სწავლების მეთოდოლოგიისა და შეფასების სისტემის, პროგრამაზე დაშვებისა და სწავლის გაგრძელების წინაპირობების, ასევე

დასაქმების სფეროსა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადამიანური რესურსების შესახებ.

13.4 პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - კურიკულუმისა და სასწავლო კურსის პროგრამის - სილაბუსის ჩარჩო ფორმებს ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.

13.5 კოლეჯის პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული ყველა კომპონენტის/მოდულის ათვისებისა და შესაბამისი კრედიტების დაგროვების საფუძველზე პროფესიულ სტუდენტს ენიჭება პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურის კვალიფიკაცია და გაიცემა მინიჭებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი - პროფესიული დიპლომი.

#### **მუხლი 14. პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების წესი**

14.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (როგორც პროფესიული სტანდარტის, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე) შესაქმნელად კოლეჯი აფორმებს მემორანდუმს შესაბამისი სფეროს წარმომადგენელ პოტენციურ დამსაქმებელ დაწესებულებასთან.

14.2 პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან/და გაუქმების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველსაყოფად, კოლეჯი აფორმებს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ანალოგიური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

14.3 მოცემული მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით განსაზღვრული მოქმედებების შესრულების შემდეგ, შესაბამისი სასწავლო ერთეულის – სკოლის ხელმძღვანელის – დეკანის ზეპირი წარდგინებით პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაქმნელად კოლეჯის დირექტორი ქმნის სპეციალურ სამუშაო ჯგუფს, რომლის შემადგენლობაშიც შედის:

- ა) შესაბამისი სასწავლო ერთეულის – სკოლის ხელმძღვანელი – დეკანი;
- ბ) შესაბამისი სპეციალიზაციის პროფესიული განათლების მასწავლებლები და პრაქტიკის ინსტრუქტორები;

გ) სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

დ) პოტენციური დამსაქმებელი ორგანიზაციის წარმომადგენლები დამსაქმებლის მოთხოვნების პროგრამაში მაქსიმალურად ასასახად.

14.4 სამუშაო ჯგუფი შესაბამის პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით ახდენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების სასწავლო დისციპლინათა ჩარჩოს განსაზღვრას, და ადგენს იმ სასწავლო დისციპლინათა სიასა და სასწავლო/პრაქტიკული კურსების შინაარსს, რომელიც აუცილებელია, მოცემული სწავლის შედეგების განვითარებისათვის, ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შესაქმნელ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მაქსიმალურ ადაპტაციას კოლეჯთან.

14.5 პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის შინაარსის სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობის თემებად დამუშავების შემდეგ პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პრაქტიკის ინსტრუქტორების მიერ კოლეჯის მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისად იქმნება სასწავლო დისციპლინის პროგრამა - სილაბუსი;

14.6 პროფესიულ სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თეორიული სასწავლო კურსების, სასწავლო ან/და საწარმოო პრაქტიკის გეგმების შეჯერებით იქმნება პროფესიული სტანდარტის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - კურიკულუმის სასწავლო გეგმა.

14.7 კურიკულუმით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის დატვირთვის ოდენობის განსაზღვრისათვის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული პროგრამის დატვირთვის მოცულობა

14.8 პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტზე დაყრდნობით შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თეორიული და პრაქტიკულ კომპონენტებს შორის თანაფარდობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 60/40-სა, თუკი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით სხვა რამ არ არის დადგენილი.

14.9 როგორც პროფესიული სტანდარტის ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მინიმალური მოცულობა კრედიტებში განისაზღვრება პროფესიული სტანდარტის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო მოთხოვნების შესაბამისად.

14.10 დასაშვებია, პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული პროგრამის მოცულობა აღემატებოდეს პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ მოცულობას, საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე, ასევე, დასაშვებია პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტის

ხვედრითი წილის გაზრდა პროფესიულ სტანდარტების ჩარჩო მოთხოვნების დაცვით.

## **მუხლი 15. პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები**

15.1 პროფესიულ სტანდარტზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი კომპონენტებია:

- ა) პროფესიული პროგრამის სახელწოდება;
- ბ) პროფესიული განათლების საფეხური;
- გ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია;
- დ) პროგრამისა და მისი თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების მოცულობა;
- ე) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა;
- ვ) პროგრამის მიზნები;
- ზ) პროგრამის სწავლის შედეგები;
- თ) დასაქმების სფერო;
- ი) პროგრამის სწავლის შედეგების რუქა;
- კ) პროგრამის სასწავლო გეგმა;
- ლ) პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და შეფასების სისტემის კომპონენტები;
- მ) პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა(დატვირთვა)
- ნ) სწავლების მეთოდოლოგია;
- ო) ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ;
- პ) ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ადგილის შესახებ
- ჟ) სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა;
- რ) სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები);

**მუხლი 16. პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საფეხური და მისანიჭებელი კვალიფიკაცია**

16.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საფეხური (როგორც პროფესიული სტანდარტის, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი) განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

16.2 მისანიჭებელი კვალიფიკაციის გრაფაში მიეთითება საგანმანათლებლო კვალიფიკაციების ჩამონათვალითა და შესაბამისი პროფესიული სტანდარტით/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებული პროფესიული კვალიფიკაცია შესაბამისი პროფესიული პროგრამისა და საფეხურისათვის.

**მუხლი 17. პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა**

17.1 პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა განისაზღვრება კრედიტებში.

17.2 კრედიტი გამოხატავს ცალკეული სასწავლო კურსით/მოდულით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ასათვისებლად და გამოსამუშავებლად პროფესიული სტუდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას (დატვირთვას).

17.3 ერთი კრედიტი შეესაბამება პროფესიული სტუდენტის ჯამური (საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის) დატვირთვის 25 ასტრონომიულ საათს.

17.4 პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით შექმნილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცალ-ცალკე მიეთითება:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თეორიული კომპონენტის მოცულობა კრედიტებში და მისი პროცენტული წილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის მოცულობა კრედიტებში და მისი პროცენტული წილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში.

17.5 როგორც პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული კრედიტის შესაბამისი საათები გადანაწილდება პროფესიული სტუდენტის დატვირთვის ყველა კომპონენტს შორის, ლექციების, ჯგუფში მუშაობის, პრაქტიკული მუშაობის,

დამოუკიდებელი მუშაობის, სემინარული მუშაობის თუ შუალედური/დასკვნითი გამოცდის კომპონენტებს შორის.

17.6 როგორც პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია მის შემადგენელ სასწავლო კურსებზე განისაზღვროს დაშვების სხვადასხვა წინაპირობა: მოდული, რომელიც მოიაზრებს გარკვეულ ჯგუფს სასწავლო კურსების - დისციპლინების, ან/და კონკრეტულ ერთ დისციპლინას/მოდულს.

17.7 საკონტაქტო საათების განაწილება, პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსის სწავლების ფორმასთან დაკავშირებით დამოკიდებულია სასწავლო კურსის შინაარსზე. გადაწყვეტილებას თითოეული სასწავლო კურსის გარშემო გამოსაყენებელი სწავლების ფორმასთან დაკავშირებით იღებს შესაბამისი სასწავლო კურსის ხელმძღვანელი - პროფესიული განათლების მასწავლებელი ან/და პრაქტიკის ინსტრუქტორი.

17.8 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ფორმა განისაზღვრება თითოეული მოდულის მიხედვით.

## **მუხლი 18. პროფესიულ სტანდარტზე ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა**

18.1 როგორც პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, განსაზღვრავს იმ აუცილებელ მოთხოვნებს, რომელთა დაკმაყოფილებაც სავალდებულოა შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად.

18.2 პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობებად შესაძლებელია მითითებული იყოს:

- ა) საბაზო ან სრული ზოგადი განათლების დონე (საფეხური);
- ბ) პროფესიული განათლების დონე (პროფესიული კვალიფიკაცია);
- გ) ჩარიცხვის დამატებითი პირობები როგორც არის უცხო ენასა ან/და ქართულ ენაში გარკვეული ცოდნის დონის ფლობის განმსაზღვრელი ტესტირების ჩატარება;
- დ) ასაკი;
- ე) სხვა პირობები, როგორც პროფესიული სტანდარტით, ისე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტიდან გამომდინარე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

18.3 როგორც პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას პირი მოიპოვებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული და პროფესიული სტანდარტით/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებული წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

18.4 კოლეჯი უფლებამოსილია, პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვროს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მაძიებლისადმი წამოყენებული დამატებითი მოთხოვნები.

18.5. პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდული „ქართული ენა B1“ ამავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სხვა მოდულების დაშვების წინაპირობაა. „ქართული ენა B1“ მოდულის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგები მიღწეულად ეთვლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების მსურველ პირს, შემდეგ შემთხვევებში:

- ა) ერთიანი პროფესიული ტესტირება გაიარა ქართულ ენაზე;
- ბ) ქართულ ენაზე მიიღო სრული ან/და საბაზო ზოგადი განათლება;
- გ) მიღებული აქვს ფორმალური აკადემიური განათლება ქართულ ენაზე;
- დ) ჩააბარა კოლეჯში მიმღები კომისიის მიერ ორგანიზებული ქართული ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი შესაბამისი გამოცდა .

18.6 პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების მსურველი პირის მიერ პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი „ქართული ენა B1“ მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ვერ დადასტურების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების მსურველი პირი ვალდებულია გაიაროს შესაბამისი მოდული „ქართული ენა B1“ ან „ქართული ენა A2“ და დაადასტუროს ქართულ ენა B1 მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგ.

18.7 პირის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი კომპეტენციების სათანადო დონეზე ფლობის დადასტურება, შესაძლებელია განხორციელდეს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების შედეგად.

18.8 არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დაცვით.

**მუხლი 19. პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა**

19.1 პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა ასახავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინების მიერ პროფესიულ სტანდარტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომჟღავნებას.

19.2 პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა აღწერს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო/პრაქტიკული კურსის შესაბამისობას პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ ერთ ან რამდენიმე სწავლის შედეგთან

- ა) ცოდნა და გაცნობიერება;
- ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- გ) დასკვნის გაკეთების უნარი;
- დ) კომუნიკაციის უნარი;
- ე) სწავლის უნარი;
- ვ) ღირებულებები.

19.3 თითოეული სასწავლო კურსი/მოდული შეესაბამება პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ექვსიდან ერთ ან რამდენიმე კომპონენტში

**მუხლი 20. პროფესიულ სტანდარტზე ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და შეფასების კომპონენტები**

20.1 პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემის გრაფაში მიეთითება პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების კოლეჯის მიერ განსაზღვრული შეფასების სისტემის მოთხოვნები და თითოეული შეფასებისათვის დადგენილი ქულების დიაპაზონი.

20.2 პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი სილაბუსის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას.

20.3 პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტის შეფასება სავალდებულოა ითვალისწინებდეს:



ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

20.4 პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემით გათვალისწინებულია 5 სახის დადებითი და 2 სახის უარყოფითი შეფასება.

20.5 დადებითი შეფასებებია:

ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;

გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;

დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

20.6 უარყოფითი შეფასებებია:

ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%,

ბ) (F) ჩაიჭრა მაქსიმალური შეფასების 0-40%

20.7 პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლო კურსი დამლეულად ეთვლება შესაბამის კომპონენტში ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღება

20.8 „FX“ შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

20.9 პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

20.10 „F“ შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს შესაბამისი დისციპლინა ახლიდან აქვს შესასწავლი.

20.11 პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი თითოეული სასწავლო კურსის პროგრამის - სილაბუსის შეფასების სისტემის აღწერაში მიეთითება შეფასების მეთოდოლოგია, შეფასების კომპონენტები, შუალედური და დასკვნითი შეფასებები და მათი პროცენტული წილი შეფასების საერთო მაჩვენებელში.

20.12 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი დეტალურად განისაზღვრება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით ან/და მოდულით.

20.13 პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თეორიული კომპონენტის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების კრიტერიუმებია:

ა) სემინარი;

ბ) პრაქტიკული შემთხვევის/მაგალითის განხილვა;

გ) შუალედური გამოცდა;

დ) დასკვნითი გამოცდა.

20.14 სემინარი ფასდება აუდიტორიასთან კომუნიკაბელურობის და დავალების შესრულების ხარისხის საფუძველზე მაქსიმუმ 5 ქულით შემდეგი ქულათა გრადაციის შესაბამისად:

- ✓ 0 ქულა - არ არის მომზადებული სემინარისთვის;
- ✓ 1 ქულა - არასრულად არის მომზადებული, არ ავლენს ათვისებულ ცოდნას
- ✓ 2 ქულა - არასრულად არის მომზადებული, ნაწილობრივ ავლენს ათვისებულ ცოდნას;
- ✓ 3 ქულა - დამაკმაყოფილებლად არის მომზადებული, ავლენს ათვისებულ ცოდნას;
- ✓ 4 ქულა - კარგად არის მომზადებული, ავლენს ათვისებულ ცოდნას;
- ✓ 5 ქულა - სრულფასოვნად არის მომზადებული, ავლენს ათვისებულ ცოდნას;

20.15 პრაქტიკული შემთხვევის/მაგალითის განხილვა ფასდება მაქსიმუმ 5 ქულით შემდეგი ქულათა გრადაციის შესაბამისად:

- ✓ 0 ქულა - საერთოდ ვერ ართმევს თავს პრაქტიკული შემთხვევების/მაგალითების განხილვა;
- ✓ 1 ქულა - არასრულად ართმევს თავს პრაქტიკული შემთხვევების/მაგალითების განხილვას, არ ავლენს ათვისებულ ცოდნას
- ✓ 2 ქულა - არასრულად ართმევს თავს პრაქტიკული შემთხვევების/მაგალითების განხილვას, ნაწილობრივ ავლენს ათვისებულ ცოდნას;
- ✓ 3 ქულა - დამაკმაყოფილებლად ართმევს თავს პრაქტიკული შემთხვევების/მაგალითების განხილვას, ავლენს ათვისებულ ცოდნას;
- ✓ 4 ქულა - კარგად ართმევს თავს პრაქტიკული შემთხვევების/მაგალითების განხილვას, ავლენს ათვისებულ ცოდნას;
- ✓ 5 ქულა - სრულფასოვნად ართმევს თავს პრაქტიკული შემთხვევების/მაგალითების განხილვას, ავლენს ათვისებულ ცოდნას;

20.16 პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია იმ რაოდენობის სემინარი და პრაქტიკული შემთხვევის/მაგალითის განხილვა, რამდენი ქულაც არის განკუთვნილი მისი შეფასებისათვის.

20.17 პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თეორიული ნაწილის შემადგენელი სილაბუსით გათვალისწინებული შუალედური გამოცდა ტარდება ტესტური ფორმით. პროფესიულ სტუდენტს ეძლევა იმ რაოდენობის ტესტური კითხვა, რამდენი ქულაც არის განკუთვნილი შუალედური გამოცდისათვის. ტესტზე სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, არასწორი პასუხი ან პასუხის გაუცემლობა - 0 ქულით. შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულა განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის –

სილაბუსის მიხედვით. დასკვნითი გამოცდა ტარდება ტესტური დავალებების ფორმით, 40 ქულით, პროფესიულ სტუდენტს ეძლევა 40 ტესტური კითხვა. სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, არასწორი პასუხი ან პასუხის გაუცემლობა - 0 ქულით.

20.19 პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების კრიტერიუმებია:

ა) შუალედური გამოცდა.

ბ) დასკვნითი გამოცდა

20.20 პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის შეფასების ქულები, დადებითი და უარყოფითი შეფასებების რაოდენობრივი მაჩვენებელი, იდენტურია სასწავლო კურსის შეფასებისა (0-100 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასება - 51 ქულა);

20.21 თუ პროფესიულმა სტუდენტმა პრაქტიკის გამოცდაზე მიიღო შეფასება FX, მაშინ მას ეძლევა პრაქტიკის გამოცდის ან პრაქტიკის საბოლოო ანგარიშის დაცვის გადაბარების უფლება.

20.22 დამატებითი გამოცდა შეიძლება დაინიშნოს დასკვნითი გამოცდიდან არანაკლებ 10 დღის ვადაში;

20.23 თუ პროფესიულმა სტუდენტმა დამატებით გამოცდის ჩაბარების შემდეგაც მიიღო უარყოფითი შეფასება FX ან F, მაშინ პროფესიულმა სტუდენტმა კრედიტის მოპოვებისათვის თავიდან უნდა გაიაროს პრაქტიკის კურსი;

20.24 თუ პროფესიულმა სტუდენტმა სასწავლო კურსში მიიღო შეფასება F, მაშინ მან კრედიტის მოპოვებისათვის თავიდან უნდა გაიაროს აღნიშნული

20.25 პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის შეფასებაში, 40 ქულით ფასდება საბოლოო შეფასება, რომლის ფარგლებში პროფესიული სტუდენტი ადასტურებს პრაქტიკის დროს მიღებული უნარების ფლობას ხოლო 60 ქულით ხდება პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასება, პრაქტიკის პერიოდში მიღებული დარგობრივი და ტრანსფერული უნარების ათვისების მხრივ.

20.26 პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების კრიტერიუმებია:

ა) შუალედური გამოცდა - გამოიყენება სამჯერ პრაქტიკული კურსის მსვლელობისას

ბ) დასკვნითი გამოცდა - გამოიყენება ერთხელ პრაქტიკული კურსის მსვლელობისას

20.27 პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის შუალედური გამოცდა ფასდება მაქსიმუმ 20 ქულით პროფესიული სტუდენტის მიერ მომზადებული პრაქტიკის ანგარიშის

და გამოვლენილი პრაქტიკული უნარ-ჩვევების საფუძველზე, შემდეგი ქულათა გრადაციის შესაბამისად:

20.28.1 პროფესიული სტუდენტის მიერ მომზადებული პრაქტიკის ანგარიში:

ა) პრაქტიკის შინაარსთან შესაბამისობა – მაქსიმუმი 2 ქულა

- ✓ სრულფასოვნად 2 ქულა
- ✓ ნაწილობრივ 1 ქულა
- ✓ სრული შეუსაბამობა 0 ქულა

ბ) პრაქტიკის არსის სწორი ხედვა – მაქსიმუმი 2 ქულა

- ✓ სრულფასოვნად 2 ქულა
- ✓ ნაწილობრივ 1 ქულა
- ✓ ხედვის საერთოდ არ გამოვლენა 0 ქულა

დ) ანალიზის უნარის გამოვლენა მაქსიმუმი 2 ქულა

- ✓ სრულფასოვნად 2 ქულა
- ✓ ნაწილობრივ შესაბამისობა 1 ქულა
- ✓ ანალიზის უნარის საერთოდ არ გამოვლენა 0 ქულა

ე) პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენება მაქსიმუმი 2 ქულა

- ✓ სრულფასოვნად 2 ქულა
- ✓ ნაწილობრივ 1 ქულა
- ✓ საერთოდ გამოუყენებლობა 0 ქულა

ზ) განხორციელებული სამუშაოს ზუსტად და ლაკონურად აღწერის უნარი მაქსიმუმი 2 ქულა

- ✓ სრულფასოვნად 2 ქულა
- ✓ ნაწილობრივ 1 ქულა
- ✓ არ არის 0 ქულა

20.28.2 პროფესიული სტუდენტის მიერ გამოვლენილი პრაქტიკული უნარ-ჩვევები

ა) საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარება მაქსიმუმი 2 ქულა

- ✓ სრულფასოვნად 2 ქულა
- ✓ ნაწილობრივ 1 ქულა
- ✓ კომუნიკაციის უნარ-ჩვევების საერთოდ არ გამოვლენა 0 ქულა

ბ) დროის მართვის უნარი მაქსიმუმი 2 ქულა

- ✓ სრულფასოვნად 2 ქულა
- ✓ ნაწილობრივ 1 ქულა
- ✓ დროის მართვის უნარის საერთოდ არ გამოვლინა 0 ქულა

გ) პროფესიულ კონტექსტში გარკვეულწილად განსხვავებული იდეების და მიდგომების წარმოჩენა მაქსიმუმი 2 ქულა

- ✓ სრულფასოვნად 2 ქულა
- ✓ ნაწილობრივ 1 ქულა
- ✓ არ არის 0 ქულა

დ) შესრულებული სამუშაოს არქიტექტონიკა პრიორიტეტულობის მიხედვით მაქსიმუმი 2 ქულა

- ✓ სრულფასოვნად 2 ქულა
- ✓ ნაწილობრივ 1 ქულა
- ✓ არ არის 0 ქულა

ე) პრობლემის იდენტიფიკაციის, მათი გამოვლენის მიზეზებისა და გადაწყვეტის გზების ნათლად წარმოჩენის უნარი მაქსიმუმი 2 ქულა

- ✓ სრულფასოვნად 2 ქულა
- ✓ ნაწილობრივ 1 ქულა
- ✓ არ არის 0 ქულა

20.29 პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის დასკვნითი გამოცდის დროს ფასდება პროფესიულ სტუდენტის მიერ მომზადებული პრაქტიკის ანგარიში, გამოვლენილი პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ასევე პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის უშუალო ხელმძღვანელის დახასიათება. დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების ქულაა - 40, შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

20.30.1 პროფესიულ სტუდენტის მიერ მომზადებული პრაქტიკის ანგარიში:

ა) პრაქტიკის შინაარსთან შესაბამისობა – მაქსიმალური 2 ქულა

- ✓ სრულფასოვნად 2 ქულა
- ✓ ნაწილობრივ 1 ქულა
- ✓ სრული შეუსაბამობა 0 ქულა

ბ) პრაქტიკის არსის სწორი ხედვა – მაქსიმალური 2 ქულა

- ✓ სრულფასოვნად 2 ქულა
- ✓ ნაწილობრივ 1 ქულა
- ✓ ხედვის საერთოდ არ გამოვლენა 0 ქულა

დ) ანალიზის უნარის გამოვლენა მაქსიმალური 2 ქულა

- ✓ სრულფასოვნად 2 ქულა
- ✓ ნაწილობრივ შესაბამისობა 1 ქულა
- ✓ ანალიზის უნარის საერთოდ არ გამოვლენა 0 ქულა

ე) პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენება – მაქსიმალური 2 ქულა

- ✓ სრულფასოვნად 2 ქულა
- ✓ ნაწილობრივ 1 ქულა
- ✓ საერთოდ გამოუყენებლობა 0 ქულა

ზ) განხორციელებული სამუშაოს ზუსტად და ლაკონურად აღწერის უნარი – მაქსიმალური 2 ქულა

- ✓ სრულფასოვნად 2 ქულა
- ✓ ნაწილობრივ 1 ქულა
- ✓ არ არის 0 ქულა

20.30.2 პროფესიული სტუდენტის მიერ გამოვლენილი პრაქტიკული უნარ-ჩვევები:

- ✓ ა) დროის მართვის უნარი – მაქსიმალური 2 ქულა
- ✓ სრულფასოვნად 2 ქულა
- ✓ ნაწილობრივ 1 ქულა
- ✓ დროის მართვის უნარის საერთოდ არ გამოვლენა 0 ქულა

ბ) საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარება – მაქსიმალური 2 ქულა

- ✓ სრულფასოვნად 2 ქულა
- ✓ ნაწილობრივ 1 ქულა
- ✓ კომუნიკაციის უნარჩვევების საერთოდ არ გამოვლენა 0 ქულა

გ) პროფესიულ კონტექსტში გარკვეულწილად განსხვავებული იდეების და მიდგომების წარმოჩენა მაქსიმალური 2 ქულა

- ✓ სრულფასოვნად 2 ქულა
- ✓ ნაწილობრივ 1 ქულა
- ✓ არ არის 0 ქულა

დ) შესრულებული სამუშაოს არქიტექტონიკა პრიორიტეტულობის მიხედვით მაქსიმალური ორი ქულა

- ✓ სრულფასოვნად 2 ქულა
- ✓ ნაწილობრივ 1 ქულა
- ✓ არ არის 0 ქულა

ე) პრობლემის იდენტიფიკაციის, მათი გამოვლენის მიზეზებისა და გადაწყვეტის გზების ნათლად წარმოჩენის უნარი მაქსიმალური 2 ქულა

- ✓ სრულფასოვნად 2 ქულა
- ✓ ნაწილობრივ 1 ქულა
- ✓ არ არის 0 ქულა

20.30.3 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის უშუალო პრაქტიკის ხელმძღვანელის – პრაქტიკის ინსტრუქტორის დახასიათება:

ა) პროფესიული უნარები (ინდივიდუალური):

- ✓ 0 ქულა - არ არის;
- ✓ 1 ქულა - მწირი;
- ✓ 2 ქულა - მისაღები;
- ✓ 3 ქულა - დამაკმაყოფილებელი
- ✓ 4 ქულა - კარგი
- ✓ 5 ქულა - შესანიშნავი

ბ) პროფესიული უნარები (ჯგუფური)

- ✓ 0 ქულა - არ არის;
- ✓ 1 ქულა - მწირი;
- ✓ 2 ქულა - მისაღები;
- ✓ 3 ქულა - დამაკმაყოფილებელი
- ✓ 4 ქულა - კარგი
- ✓ 5 ქულა - შესანიშნავი

გ) ინტერდისციპლინური უნარები

- ✓ 0 ქულა - არ არის;
- ✓ 1 ქულა - მწირი;
- ✓ 2 ქულა - მისაღები;
- ✓ 3 ქულა - დამაკმაყოფილებელი
- ✓ 4 ქულა - კარგი
- ✓ 5 ქულა - შესანიშნავი

დ) პროფესიული ეთიკა და დისციპლინა

- ✓ 0 ქულა - არ არის;
- ✓ 1 ქულა - მწირი;

- ✓ 2 ქულა - მისაღები;
- ✓ 3 ქულა - დამაკმაყოფილებელი
- ✓ 4 ქულა - კარგი
- ✓ 5 ქულა - შესანიშნავი

**მუხლი 21. პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა და შეფასების წესი**

21.1 პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ა) ლექციაზე დასწრება/სამუშაო ჯგუფში მუშაობას
- ბ) ლაბორატორიულ მეცადინეობას
- გ) პრაქტიკულ მეცადინეობას
- დ) დამოუკიდებელ მეცადინეობას
- ე) საწარმოო/სასწავლო პრაქტიკას
- ვ) გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას.

21.2 პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მოიცავს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს, რომელიც უზრუნველყოფა პროფესიული სტუდენტის მიერ თეორიული და პრაქტიკული ცოდნისა და უნარ-ჩვევების ათვისებისა და განვითარების პროცესის სწორად წარმართვას და მიღწევების დონის განსაზღვრას.

21.3. პროფესიული სტუდენტის განმსაზღვრელი შეფასება მოიცავს კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებულ სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

21.4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერადად, მათ შორის მოდულის მიმდინარეობის პროცესში.

21.5 პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს შეფასების შედეგი, რის საფუძველზეც კოლეჯის დირექტორი ქმნის დროებით კოლეგიალურ ორგანოს - სააპელაციო კომისიას, რომელიც განიხილავს სააპელაციო საჩივარს.

21.5. მოდულის დასრულებიდან მაქსიმუმ 10 დღის ვადაში (არ იგულისხმება წინმსწრები მოდულის დასრულება) პროფესიული განათლების მასწავლებელი/პრაქტიკის ინსტრუქტორი სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით, ნიშნავს განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასების თარიღს.

21.6 პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია წერილობითი ფორმით მიმართოს

სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და მოითხოვოს განმეორებითი შეფასების გადავადება, სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება შესაბამისი მოდულის დასრულებამდე.

21.7 თუკი პროფესიული სტუდენტი წინამდებარე დებულების 21.6 მუხლის შესაბამისად არ მიმართავს სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს განმეორებით შეფასებაზე პროფესიული სტუდენტის არ გამოცხადება ითვლება სწავლის შედეგის ვერ დადასტურებად.

21.8. თუკი პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდული, მოდულზე დაშვების წინაპირობაა პროფესიული სტუდენტი ვალდებულია სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ვადებში დაადასტუროს წინმსწრები მოდულის დაუდასტურებელი სწავლის შედეგი/შედეგები.

21.9 სწავლის შედეგების დაუდასტურებლობა ითვლება პროფესიული სტუდენტის მიერ მოდულის კრედიტების აუთვისებლობად და სტუდენტს აღარ აქვს მომდევნო მოდულზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. მომდევნო მოდულზე სწავლის გაგრძელების სურვილის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი ვალდებულია განმეორებით გაიაროს ის მოდული, რომელზეც ვერ შეძლო სწავლის შედეგების დადასტურება. რისთვისაც პროფესიული სტუდენტი ვალდებულია წერილობითი ფორმით მიმართოს სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. განაცხადის მოდულის განმეორებითი გავლის თაობაზე თან უნდა ერთოდეს მოდულის განმეორებითი შესწავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, რომელიც გამოითვლება შემდეგი სახით: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საერთო ღირებულებიდან გამომდინარე ერთი კრედიტის ღირებულება გამრავლებული მოდულის საერთო მოცულობაზე - კრედიტების რაოდენობაზე.

21.10 შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით, ასეთი პირები მოდულზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის /წინაპირობების დაძლევის გარეშე.

21.11 ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, სტუდენტის/სტუდენტების მიერ მოდულის წინმსწრები მოდულის შედეგების ვერ დადასტურების შემთხვევაში, როცა ვერ ხერხდება განმეორებითი შეფასების ორგანიზება, კოლეჯი უფლებამოსილია მოდულის ხელმძღვანელის (პროფესიული განათლების მასწავლებლის/პრაქტიკის ინსტრუქტორის) წერილობითი მიმართვის საფუძველზე ერთი კვირით გადაავადოს მომდევნო მოდულის სწავლების დაწყება, რისთვისაც სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვალდებულია შექმნას ინდივიდუალური გრაფიკი განმეორებითი შეფასების ორგანიზებისათვის.

21.12 სწავლის შედეგების შეფასება (განმავითარებელი ან/და განმსაზღვრელი) შესაძლებელია ჩატარდეს, როგორც ყოველი სწავლის შედეგის ბოლოს ასევე, შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად შეფასება, თუკი აღნიშნული შეფასება არ წარმოადგენს შემდეგი სწავლის შედეგის მიღწევის აუცილებლობას.



21.13 შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტები ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში. პროფესიული სტუდენტის შეფასება ხდება მოდულის შესრულების კრიტერიუმების თანახმად, მოდულის მისაღწევი შედეგებისა და შესრულების სპეციფიკიდან და შეფასების მიზნიდან გამომდინარე, შეფასების ინსტრუმენტი განისაზღვრება მოდულის მიხედვით.

21.14. შეფასების პროცესი დასრულებულად ითვლება მხოლოდ შეფასების შედეგების დოკუმენტაციის (უწყისი) გაფორმების შემდეგ.

## **მუხლი 22. სწავლების მეთოდოლოგია**

22.1 სწავლების მეთოდოლოგია ეს არის სწავლა–სწავლების პროცესში ცოდნის მიწოდებისა და მიწოდებული ცოდნის პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებისათვის გამოყენებულ იმ ხერხებისა და მეთოდების ერთობლიობა, რომელთა მეშვეობითაც მიიღწევა კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები.

22.2 კონკრეტული პროგრამის/მიმართულების ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი დისციპლინის ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე, ადგენს ამ დისციპლინის სწავლისა და სწავლების მეთოდოლოგიას

## **თავი IV**

**პროფესიულ სტანდარტზე ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება, დამტკიცება, შეცვლა და გაუქმება**

**მუხლი 23. პროფესიულ სტანდარტზე ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების და დამტკიცების წესი**

23.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებას ახდენს დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი დროებითი კოლეგიალური ორგანო - სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედის: პოტენციური პარტნიორი დამსაქმებელი კომპანიის წარმომადგენლები; დასაწერგი პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი და მის განხორციელებაში ჩართული

პროფესიული განათლების მასწავლებლები და პრაქტიკის ინსტრუქტორები; სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი; შესაბამისი სასწავლო ერთეულის სკოლის ხელმძღვანელი.

23.2 სპეციალური სამუშაო ჯგუფი დირექტორის ბრძანების საფუძველზე დასაწრევი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებისათვის პირველ ეტაპზე ახდენს შრომის ბაზრის შესწავლას, მათი მოთხოვნების იდენტიფიცირებას, პროფესიული პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ადამიანური რესურსების მოძიებას და კოლეჯის მატერიალური შესაძლებლობის განსაზღვრას.

23.3 სპეციალური სამუშაო ჯგუფის მიერ პირველ ეტაპზე შესრულებული სამუშაოების საფუძველზე ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირება/დანერგვა კოლეჯში, რაც მოიცავს როგორც მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული, ასევე კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი სხვადასხვა აქტივობების განხორციელებას.

23.4 პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი, სასწავლო ერთეულის – სკოლის ხელმძღვანელის ზეპირი წარდგინების საფუძველზე.

23.5 დირექტორის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე უარის შემთხვევაში გამოიყენა შესაბამისი შიდა სამართლებრივი აქტი - ბრძანება, რომლის საფუძველზეც სკოლას უბრუნდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად და ხელახლა დასამუშავებლად/ადაპტირებისათვის.

23.6 23.4 პუნქტის შესაბამისად დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების და განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით, შესაბამისი განაცხადი მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, წარედგინება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს

23.7 განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში კოლეჯს ერთმევა უფლება განახორციელოს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რის შესახებაც კოლეჯის დირექტორი გამოსცემს შიდა სამართლებრივ აქტს - ბრძანებას.

**მუხლი 24. პროფესიულ სტანდარტზე ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის წესი**

24.1 პროფესიულ სტანდარტზე ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანა ხდება მისი მიღებისათვის გათვალისწინებული პროცედურით, მოქმედი კანონმდებლობის, კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტებისა და პროფესიული სტანდარტის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნათა დაცვით.

24.2 შეცვლილი რედაქციის პროფესიულ სტანდარტზე ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

24.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების განხორციელების შემდეგ კოლეჯი ანხორციელებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირებას ცვლილებების განხორციელებიდან ერთი თვის ვადაში, თუკი ცვლილება შეეხება სწავლის შედეგების ცვლილებებს ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პრაქტიკის ინსტრუქტორების საერთო რაოდენობის ცვლილებამ ავტორიზაციის მოპოვების მომენტიდან მიაღწია 10%-ს.

**მუხლი 25. პროფესიულ სტანდარტზე ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების წესი**

25.1 პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება ხდება დირექტორის ბრძანების გამოცემის გზით, რომელშიც დეტალურად აისახება ამ პროგრამაზე ჩარიცხული პირების შემდგომი სამართალურთიერთობა კოლეჯთან და ამ პროგრამის რესურსების გადანაწილების წესი, პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვით.

**მუხლი 26. პროფესიულ სტანდარტზე ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების მომავალი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები**

26.1 კოლეჯი პროფესიულ სტანდარტზე ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საკუთარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტს შემდგომი განათლების მიღების შესაძლებლობით.

26.2 პროფესიულ სტანდარტზე ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისობების განსაზღვრას არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში (როგორც პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი) გავლილი და ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის შემადგენელ დისციპლინებს/მოდულებს შორის, ასევე საჭიროების შემთხვევაში, იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის გატარების შესახებ.

26.3 შეცვლილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის (როგორც პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი) პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

26.4 ინდივიდუალური გეგმით სწავლებისას პროფესიული სტუდენტი განთავსდებულა სწავლის გადასახადის გაზრდისაგან.

26.5 იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ სტუდენტს სურვილი აქვს სწავლა განაგრძოს სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, კოლეჯი უზრუნველყოფს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (როგორც პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი) მიღევად რეჟიმში სწავლებას, ყველა მსურველის გადაყვანის პროცესის დასრულებამდე.

26.6 კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (როგორც პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი) განხორციელების შეწყვეტის შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს მსგავსი სახის პროგრამის განმახორციელებელ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შეთანხმების საფუძველზე, პროფესიული სტუდენტების აღნიშნულ დაწესებულებაში გადაყვანას.

26.7 ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (როგორც პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი), რომელთა შეცვლის ან/და გაუქმების თაობაზე კოლეჯს არ აქვს გაფორმებული სხვა ანალოგიური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელთან მემორანდუმი, არ შეიძლება გაუქმდეს. კოლეჯი ვალდებულია აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა გადაიყვანოს მიღევად რეჟიმში, პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის დასრულებამდე.

## **თავი V** **კვალიფიკაციის მინიჭება**

### **მუხლი 27. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება**

27.1 კოლეჯის მიერ განხორციელებული, როგორც პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა თეორიული თუ პრაქტიკული კომპონენტის ათვისებისა და შესაბამისი კრედიტების დაგროვების საფუძველზე, პროფესიულ სტუდენტს კოლეჯი ანიჭებს შესაბამის პროფესიულ კვალიფიკაციას.

27.2 პროფესიული კვალიფიკაცია ეს არის პროფესიული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ფლობის დონე, რომელიც დასტურდება პროფესიული დიპლომით.

27.3 კვალიფიკაციის მინიჭებას ახორციელებს კოლეჯის დირექტორი ბრძანების გამოცემის გზით, იმ საგანმანათლებლო ერთეულის – სკოლის ზეპირი წარდგინების საფუძველზე, რომელიც ახორციელებს შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას.

## **თავი VI** **საგანმანათლებლო საქმიანობის უფლებამოსილება**

### **მუხლი 28. ავტორიზაცია**

28.1 კოლეჯი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას იწყებს საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მიპოვების შემდეგ.

28.2 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მიპოვება ხდება კოლეჯის ინფრასტრუქტურის, მატერიალური, საგანმანათლებლო, ადამიანური და ინტელექტუალური ბაზისის სახელმწიფოს მიერ დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის - ავტორიზაციის გზით.

28.3 საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისა და სასწავლო პროცესის წარმართვის უფლება კოლეჯს წარმოეშობა მხოლოდ ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

28.4 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვებამდე კოლეჯის მიერ განხორციელებული საქმიანობა ატარებს საორგანიზაციო - დაგეგმარებით ხასიათს და ემსახურება ავტორიზაციის პროცესისათვის დაწესებულების მომზადებას.

## **თავი VI** **დასკვნითი დებულებები**

### **მუხლი 29. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი**

29.1 წინამდებარე საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ წესს ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ბრძანების გამოცემის გზით.

29.2 წესში ცვლილებების შეტანა ხდება იმავე წესით, რაც დადგენილია წინამდებარე წესის მისაღებად.